პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ 27 _____ ნოემბერი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის N260 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ბ. ქებულაძე
საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე

დ. ბენიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის - 27 -ნოემბერი

N განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის

კომისიის ანგარიში

2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე

გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საერთაშორისო, ცენტრალური და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიამ მისი არსებობის პერიოდში პირველად შეიმუშავა კომისიის 2023-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობს კომისია მისი საქმიანობის ფარგლებში.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია შედგება 13 წევრისგან. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კომისიის 10 სხდომა, განხილულ იქნა 11 საკითხი. კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების მიერ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების მიზნით, გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის" 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;
5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ;
6. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2024-2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;
8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბაგა-ბაღების გაერთიანების" ანგარიში 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების , არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.
10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის" 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;
11. 2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ინფორმაციის თაობაზე.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია მონაწილეობდა 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში. კომისია აქტიურადაა ჩართული როგორც კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე საზედამხედველო ფუნქციებიდან გამომდინარე მათ მონიტორინგში.

კომისიის ყურადღების არეში მოექცა ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული კულტურის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის საკითხები. კულტურის პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერა გაეწიათ არტისტებსა და ქურუმებს, მხატვრებს, ადგილობრივ თეატრებსა და ანსამბლებს.

გასულ წელს ქუთაისი შეუერთდა შემოქმედებითი ქალაქების ქსელს და მიენიჭა ,,ლიტერატურული ქალაქის" სტატუსი. მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ქალაქის კულტურული დინამიკა ორიენტირებული იქნება ლიტერატურული პროცესებისა და

სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი თანამშრომლობის განვითარებაზე, სადაც საერთაშორისო გამოცდილების გაცვლა და თანამშრომლობა გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

უკვე ტრადიციად იქცა იმერეთის თეატრალური ფესტივალის ჩატარება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქუთაისისა და იმერეთის სახელმწიფო, სახალხო თუ მოყვარული თეატრების პოპულარიზაციას და მათი მიღწევების გატანას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, გამოავლინოს და გააცნოს საზოგადოებას ახალგაზრდა მსახიობები და რეჟისორები, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ დაოსტატებას.

ფოტოკონკურსი ,,ილო“ ასევე ტრადიციული ფესტივალია, რასაც თვითმმართველობა ატარებს, მან მიიღო საერთაშორისო სტატუსი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქართველი და უცხოელი ფოტო-ხელოვანები და ფოტო-მოყვარულები.

წელს, პირველად ჩატარდა ,,ქუთაისის საჯარო ხელოვნების ფესტივალი“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა თანამედროვე ქორეოგრაფიის პერფომანსი, ლიტერატურული პერფომანსი, ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში გაიხსნა ინსტალაცია ,,თუ“, ასევე გაიმართა აუდიო/ ვიზუალური წარმოდგენა.

განათლების მიმართულებით უკვე მეორე წელია ძალიან კარგი ინიციატივა დამკვიდრდა, 2023-2024 წელს 100 % -იანი გრანტის მომპოვებელი ქუთაისელი სტუდენტები ჯილოვდებიან ფულადი ჯილდოთი. ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივითა და შესაბამისი კომისიის ხელშეწყობით, პროგრამის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის- ისარგებლა 17-მა ბენეფიციარმა, პროგრამის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებზე ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსებით, ისარგებლა 50-მდე მოსწავლემ და სტუდენტმა.

ასევე, ქუთაისის უნივერსიტეტების 3 სტუდენტი სწავლას განაგრძობს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, რომელთა ტრანსპორტირების დაფინანსება მოხდა ქალაქის ბიუჯეტიდან.

მიმდინარე წელს, აგვისტოს თვეში, 2 ნაკადად დაბა ბაკურიანში მოეწყო საზაფხულო ბანაკი საჯარო სკოლების მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით.

სპორტის მიმართულებით სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის მიერ სპორტის განვითარების კონცეფციის საფუძველზე, წელს პირველად, საქართველოს ეროვნულ ფედერაციებთან უშუალო თანამშრომლობით ტარდება ეროვნული და საერთაშორისო ტურნირები სპორტის შესაბამის სახეობებში,

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმართველობის მიერ სპორტსმენთა წახალისების საკითხს, მათი მიღწევებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ყოველთვიურად გასცემს სტიპენდიას 1 500 ლარის ოდენობით ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონისთვის, ასევე სპორტის რაინდის სტიპენდია მთელი წლის მანძილზე ერიცხება შესაბამისი წოდების მქონე 1 პირს. გასული წლის შედეგების გათვალისწინებით, სტიპენდია გაიცემა წარმატებულ ქუთაისელ 35 სპორტსმენზე ყოველთვიურად.

კომისია აქტიურადაა ჩართული შშმ პირთა ტურნირების მხარდაჭერის პროცესში, წელს ქუთაისელმა 200 მდე შშმ სპორტსმენმა ისარგებლა სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობის დაფინანსებით.

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდული

პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 8 ინიციატივა, ასევე მოეწყო ზამთრის ლიდერთა ბანაკი 80 ახალგაზრდისათვის 2 ნაკადად დაბა ბაკურიანში.

ყოველწლიურად აღინიშნება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და განისაზღვება ყველა იმ კომპონენტის ჩართულობით, რაც ახალგაზრდებს აძლევს გართობის, დასვენების, შემეცნების და საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობას.

ასევე წელს მუხნარის ტყე-პარკში ჩატარდა მასშტაბური ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი, რომელსაც 10 000 მდე ახალგაზრდა დაესწრო.

კომისია კვლავაც გააგრძელებს აქტიურ მხარდაჭერას.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 37-ე სხდომაზე, 2024 წლის 27 ნოემბერს წარმოდგენილ იქნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის, ბექა ქებულაძის მიერ.

ბექა ქებულაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა

და სპორტის კომისიის თავმჯდომარე